ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 78

28 თებერვალი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი - მარიამ კვერნაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-01200583101; 11-01200591771) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-032005890-03;15-032005954-03)

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსულტინგ გრუპს"(უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი" ს|კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან შპს „სითი ბოქსის" (ს|კ 439402843) გათავისუფლების თაობაზე.

3."ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა #8-ში (ნაკვეთი #0/040, საკ/კოდი : #01.19.19.005.040.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

4. ქალაქ თბილისში, ფაღავას ქ.#18-ში (საკ|კოდი:#01.17.01.012.006.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

5. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის #1-ში (საკ|კოდი: #01.15.07.003.079.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

6. ქალაქ თბილისში,საინგილოს ჩიხი #5-ის კორპუს #2-ში (საკ|კოდი: #01.17.02.059.056.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

7. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქ.#21-ში (საკ|კოდი: #01.15.07.017.041.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

8. ქალაქ თბილისში,საინგილოს ქუჩა #110-ში (საკ|კოდი: #01.17.02.059.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

9. ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის #49-ში (საკ|კოდი: #01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

10. ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში(ყოფილი თემქა) მე-11 მ|რ-ის I კვარტლის #20ბ-ში (საკ|კოდი: #01.12.02.014.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

11. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #44-ში (საკ|კოდი: #01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

12. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა #49-ში(საკ|კოდი:01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის #402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

13. ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა #6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი # 01.10.14.031.055) პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ჟღენტისთვის (პ|ნ 01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის # 206 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, მოცკევიჩის ქუჩა #6-ის მიმდებარედ არსებული 21 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი: # 01.10.14.031.055) პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ჟღენტისთვის (პ|ნ 01025004391) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

14. ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა #26-ის მიმდებარედ 50 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი: #01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს|ნ: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

15. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებული 210 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი: #72.13.44.142) პირდაპირი განკატგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

16. ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა #30-ში მდებარე უძრავი ქონების (ს|კ :01.10.17.023.001.00.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს|კ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

17. ქალაქ თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 58 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი: 01.18.03.015.015) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისთვის (ს|ნ :204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს წინადადებით, რომ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით დღის წესრიგიდან ამოეღოთ მე-13 საკითხი.კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას.

დღის წესრიგი დამტკიცდა მე-13 საკითხის გამოკლებით.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-01200583101; 11-01200591771) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია გამგეობების და საქალაქო სამსახურების მიერ წარმოდგენილი კვარტალური ცვლილებები. კერძოდ: საბურთალოს რაიონის გამგეობას პროგრამაში „გზების მოვლა-შეკეთება“ პირველ კვარტალში ემატება 1 051 000 ლარი, რომლის გადმოტანაც ხდება მომდევნო კვარტლებიდან. როგორც გამგეობა აღნიშნავს მოსალოდნელი დაბალი ტემპერატურის გამო პირველ კვარტალში არ ქონდათ დაგეგმილი შესასრულებელი სამუშაოებისათვის თანხები, რეალურად ამინდებმა ხელი არ შეუშალეს სამუშაოების ჩატარებას. 14 მისამართზე მიმდინარეობს გზების ორმოული და ფრაგმენტული შეკეთება. აქედან გამომდინარე საჭიროა პირველ კვარტალში თანხის დამატება.

კრწანისის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამიდან, 100 000 ლარი გადადის მეოთხე კვარტალში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების“ პროგრამაში პირველი კვარტლიდან 101 040 ლარი გადადის მეოთხე კვარტალში. გამგეობა აღნიშნავს, რომ გარკვეული მიზეზების გამო პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოების ტენდერები არ შედგა და შესასრულებელი სამუსაოების დასრულება გადაიწევს მომდევნო კვარტლებში.

მთაწმინდის რაიონის გამგეობას შემოერთებული ტერიტორიების წყალმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებლად არ ქონდა გათვალისწინებული პირველ კვარტალში შესაბამისი თანხები და ითხოვს პროგრამის პირველ კვარტალში 3500 ლარის დამატებას.

წარმოდგენილი წერილით ხდება ასევე სარეზერვო ფონდის პირველი კვარტლის გეგმის გაზრდა 400 000 ლარით.

გარდა ამისა გარკვეული სამსახურების თანამშრომელთა მოტივაციის მიზნით გაიცა ჯილდო, 3 მარტთან დაკავშირებით თითოეულ თანამშრომელზე 250 ლარის ოდენობით და პირველ კვარტალში შესაბამის მუხლებში ამ მიზნით ემატებათ თანხები: „მულტიფუნაციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“ -84 750 ლარი; იურიდიული კლინიკა - 6000 ლარი; სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი - 8750 ლარი; თეატრი „გლობუსი“ -7000 ლარი; სამეფო უბნის თეატრი -10500 ლარი; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა- 347 110 ლარი, საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენი“ -8500 ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 44500 ლარი (მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომლებისთვის); ბალეტის დასი- 4750 ლარი, შესაბამისად „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის „სუბსიდიის“ 408 360 ლარის შემცირების ხარჯზე.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეკითხვები ქონდათ კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ მოთხოვნილ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაზედაც მათ განემარტათ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც

საფინანსო საქალაქო სამსახური ითხოვს სარეზერვო ფონდის ზრდას, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს, კრწანისის და მთაწმინდის რაიონის გამგეობები და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვენ ცვლილებას მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში და დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილების ხარჯზე ,ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების განკარგვის საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინათ მარიამ კვერნაძემ

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიუ პირს-ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსულტინგ გრუპს"(უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი" ს|კ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან შპს „სითი ბოქსის" (ს|კ 439402843)გათავისუფლების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ცვლილება ხორციელდება სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითიბოქსს" შორის 2017 წელს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში და იცვლება ერთერთი რეტერატის განთავსების ლოკაცია, კონკრეტულად 9 აპრილის ტერიტორია იცვლება რიყის მიმდებარე ტერიტორიით და რეტერატის განთავსების და ექსპლუატაციაში მიღების თარიღად განისაზღვრება 2020 წლის 30 აპრილი. ასევე კომპანია ითხოვს პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:."ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა #8-ში (ნაკვეთი #05|040, საკ|კოდი : #01.19.19.005.040.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით , გიორგი კვანჭიანს სიმბოლურ ფასად1 ლარად გადაეცემა ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა #8-ში (ნაკვეთი #05|040, საკ|კოდი : #01.19.19.005.040.01.009) მდებარე 48,38 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე ოჯახთან ერთად სარგებლობს და ცხოვრობს აღნიშნული ფართით 1998 წლიდან. წარმოდგენილია ისნის გამგეობის შუამდგომლობა და ისანი-სამგორის შს სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილი. გიორგი კვანჭიანს საჯარო რეესტრის მონაცემებით სხვა ქონება არ აქვს.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფაღავას ქ.#18-ში (საკ|კოდი: # 01.17.01.012.006.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ თამარ ასპანაძეს სიმბოლურ ფასად, პირდაპირი განკარგვის ფორმით პროვატიზებით გადაეცემა ფაღავას ქ.#18-ში (საკ|კოდი: # 01.17.01.012.006.01.515) მდებარე 47,07 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ ფართში ცხოვრობს სამ სულთან ერთად 23 წელი.შსს წერილით და გასაუბრების ოქმებით მოქალაქე ცხოვრობს დაახლოებით 25 წელი. წარმოდგენილია ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ ანტიკვარის" კრების ოქმი, რომლითაც მეზობლები თანხმობას აცხადებენ თამარ ასპანიძისთვის ფართის დაკანონებაზე. მარიამ კვერნაძის თქმით მოქალაქეს საჯარო რეესტრის ნფორმაციით სხვა ფართი არ ერიცხება.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის #1-ში (საკ|კოდი: #01.15.07.003.079.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ლევან თოფურიძეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის #1-ში (საკ|კოდი: #01.15.07.003.079.01.001) მდებარე 69,60 კვმ საცხოვრებელი ფართი, სადაც ის ცხოვრობს 1990 წლიდან. წარმოდგენილია მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, ასევე ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის დეპარტამენტის გასაუბრების ოქმები.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,საინგილოს ჩიხი #5-ის კორპუს #2-ში (საკ|კოდი: #01.17.02.059.056.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის თქმით, ნანული ფარსმანაშვილს რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს ქალაქ თბილისში,საინგილოს ჩიხი #5-ის კორპუს #2-ში, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 64,14 კვმ საცხოვრებელი ფართი. უნდა აღინიშნოს რომ ნანული ფარსმანაშვილი არის აფხაზეთის ომში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის III ხარისიხის ორდენის მფლობელ კახაბერ ფარსმანაშვილი დედა. წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი ისნის გამგეობის და ისან-სამგორის შინაგან საქმეთა სამმართველოს წერილები.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში,ალექსანდრე ყაზბეგის ქ.#21-ში (საკ|კოდი: #01.15.07.017.041.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ თქმით, ნინა ჯაფარიძეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა სოფელ ოქროყანაში,ალექსანდრე ყაზბეგის ქ.#21-ში (საკ|კოდი: #01.15.07.017.041.01.501) მდებარე 132,75 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე სარგებლობს და ცხოვრობს აღნიშნულ ფართში 1991-1992 წლიდან. ცხოვრების ფაქტს ადასტურებს წარმოდგენილი მთაწმინდის რაიონის გამგეობის და შსს გასაუბრების ოქმები.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,საინგილოს ქუჩა #110-ში (საკ|კოდი: #01.17.02.059.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ განმარეებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის #20.185.187 განკარგულების დანართით წარმოდგენილ 3 პირს სიმბოლურ ფასად გადაეცემათ საერთო ჯამში 197,63 კვმ საინგილოს ქუჩა #110-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული პირები დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობენ და ფლობენ ამ ფართებს.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის #49-ში (საკ|კოდი: #01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით აღნიშნულ მისამართზე, 4 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცემა საერთო ჯამში 381,24 კვმ საცხოვრებელი ფართი.ეს ოჯახები ამ ფართებით სარგებლობენ და ცხოვრობენ 2005-2008 წლიდან. ცხოვრების ფაქტს ადასტურებს ისან-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების წერილი და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში(ყოფილი თემქა) მე-11 მ|რ-ის I კვარტლის #20ბ-ში (საკ|კოდი: #01.12.02.014.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, 4 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცემა საერთო ჯამში 173,16 კვმ საცხოვრებელი ფართი.ეს ოჯახები ამ ფართებით სარგებლობენ და ცხოვრობენ 2000 წლიდან.ცხოვრების ფაქტს ადასტურებს გლდანი-ნაძალადევის შსს წერილი და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ ბიჭვინთას“

კრების ოქმი. მარიამ კვერნაძის თქმით, აღნიშნულ პირებს საჯარო რეესტრის მონაცემებით სხვა ქონებები არ უფიქსირდებათ.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #44-ში (საკ|კოდი: #01.14.05.003.009) მდებარე უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #44-ში,დევნილის სტატუსის არმქონე 11 პირს გადაეცემათ საცხოვრებელი ფართები. ეს ოჯახები სარგებლობენ და ცხოვრობენ ამ ფართებით 2000-2003 წლებიდან. წარმოდგენილია ვაკე-საბურთალოს რაიონის შსს-ს, ვაკის გამგეობის წერილები შესაბამისი დოკუმენტაციით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რომლებიც ადასტურებენ ცხოვრების ფაქტს.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა #49-ში(საკ|კოდი:01.20.01.001.009) მდებარეუმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის #402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის #402 განკარგულებაში, საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში ხარვეზის შესწორება.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,შავთელის ქუჩა #26-ის მიმდებარედ 50 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი: #01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის(ს|ნ: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მარიამ კვერნაძის თქმით, ქალაქ თბილისში,შავთელის ქუჩა #26-ის მიმდებარედ 50 კვმ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაეცემა სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრს გამწვანებისა და საყვავილეების განთავსების მიზნით. იჯარის მოქმედების ვადაა 10 წელი. წლიური საიჯარო ქირა 4800 ლარი.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებული 210 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი: #72.13.44.142) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, სოფელ გლდანში არსებული 210 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ|კოდი: #72.13.44.142) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაეცემა ამხანაგობა „წყაროს“ , შემდგომში წყლის სატუმბი სადგურის განთავსებისა და ექსპლუატაციაში მიღების პირობით. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წერილით, კომპანია წინააღმდეგი არ არის მიწის ნაკვეთზე სატუმბი სადგურის განთავსებაზე. ასევე წინააღმდეგი არ არის არქიტექტურის სამსახური, სატუმბი სადგურის როგორც დამხმარე ნაგებობის განთავსებაზე, რადგან მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა #30-ში მდებარე უძრავი ქონების (ს|კ :01.10.17.023.001.00.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს|კ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის თქმით, ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადაეცემა, ჩიქოვანის ქუჩა #30-ში მდებარე უძრავი ქონება. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ფართის გადაცემის შემთხვევაში გამოყენებული იქნება დაუნის სინდრომის მოქნე ბავშვთა და მოზარდთა განმავითარებელი სხვადასხვა პროგრამებისა და თერაპიების განსახორციელებლად.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 58 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ|კოდი: 01.18.03.015.015) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისთვის (ს|ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 58 კვმ მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის ფორმით,სიმბოლურ ფასად გადაეცემა სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიას, მწვანე ზოლისა და ბაღის გაშენების მიზნით.

მომხრე- 6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია